

ამ წიგნთ გარტა, ბატონი პ. ში-
კაშვილი, რ. დ. მრისთავი და თი-
თონ მეუნარგია წარმოადგენენ ყრი-
ლობაში თითო ეკვმპლიარს.

რედაქცია მოელის წიგნებს: მი-
ორგი პიჭაძისგან, კნენა ნინო შა-
რალოვისგან, კნენა ნინო მარბე-
ლიანისგან, თ. ზალიკა ჯანდიერის-
გან და თ. რეე. ჩოლოყაშვილის-
გან.

„მეფხვის ტყეოსნის“ რედაქციის
მეორე სხდომის დრო წინ-და-წინ
იქნება გამოცხადებული ჩვენ გაზეთ-
ში.

მართული დრამატული საზო-
გადოების მმართველობა გვთხოვს ვა-
მოვაცხადოთ შემდეგი იმის გარდა-
წყვეტილება:

ორიგინალურ საგანძო პიესებზედ
დაენიშნოს ავტორს ჯილდოდ ათს
თუმნამდე და ყოველ წმინდა შემო-
სავლიდამ იმ პიესის მიზნებით ხუთი
პროცენტის მიეცეს ავტორსა.

ჩვენს ხასიათსა და ზნეზედ გადმო-
კეთებულ პიესებზე ავტორს დაენიშ-
ნოს ხუთ თუმნამდე ჯილდოდ და
წმინდა შემოსავლიდამ ორი პროცენ-
ტი.

თარგმანზედ სამს თუმნამდე და
ორი პროცენტი წმინდა შემოსავლი-
დამ.

ზარდა ამისა წერილმანის პიესები-
სათვის (ვოდველები და ჭარსი), რომ-
ელიც საგანძეთ არ იგულისხმებინან,
თითო თუმნამდე და თუ ორიგინალურ-
ია, ორ თუმნამდე.

მსურველთ შეუძლიანთ თავისი
დრამატული თხზულება და თარგმა-
ნი წარუდგინონ „მართულ დრამატი-
ულ საზოგადოების“ მმართველობის
სეკრეტარს ბ. ძოსტანტინე დიმიტრის-
ძეს შიფანს, ბოლოვინსკი პროსპექტ-
ზედ სახლი № 44, დილის 11 საათა-

ლანძღვით მოაჯდა ცხენს და გასწია
თავის საცოლოსთან.

II

სწორეთ შუა-დღე იქნებოდა, რომ-
დესაც მზიდა მივიდა თავის საცო-
ლოს სახლში. მინამ მას შინ შეიყ-
ვანდნენ, ჩეულებსამებრ, ჩამო-
ართვეს იარაღი და მერე დიდს პა-
ტივისცემით მიიწვიეს ოთახში. მრი
დღე დავყო თავის სიმამრისას და ჯერ
კადევ საცოლოსთინ არაფერი არა
ეთქვა-რა. მესამე დღეს დაუძახა თავის
საცოლოს, რომელსაც ერქვა სუ, და
დაუწყო ლაპარაკი.

სუ იყო მშვენიერი სახისა. მისი
ფერი კანისა, კოკორი ვარდსავით
მოყვანილი ტუჩები, შავი დიდი თვა-
ლები, გრძელი გიშრის თმა და მშვე-
ნიერი წარბ-წამწები მოიყვანდნენ
ყოველ ადამიანს აღტაცებაში. მთელ
სოფელში პირველ ლამაზ ქალათ
ითვლებოდა. ბევრი ქისტი ჰყვანდა
გადაკიდებული სუს, მაგრამ, როდე-
საც მზიდას შეუყვარდა, ყველამ
თავი დაანებეს, რადგანაც იცოდნენ,

მდინ, და სალამოს არწყურის თეატრ-
ში ოთხ საათიდამ — ექვსამდე.

მ. შვირილიდამ შემდეგ ამბავს
ვცწერენ:

„ამ თვის 23-ს აქაურს პოლიცია-
ში მოიყვანეს ურმით სოფ. ძვალის-
თილამ აზნაური ბიგო აბაშიძე, რომ-
ელიც ისეთ ნაირად იყო დაჭრილი,
რომ ადამიანი ვეღარ იცნობდა.

„ბი რანაირათ შემთხვევია ამ აბა-
შიძეს ეს უბედურება: ამ აბაშიძესა
და მეორე აზნაურს საყვარელიძეს სა-
დავო ტყე ჰქონიათ. საყვარელიძეს
წაუყვანია თან ათი გლეხი და წასუ-
ლა ტყეში სამუშაოდ. შეუტყვია თუ
არა აბაშიძეს ეს ამბავი, ამდგარა და
ისიც ტყეში წასულა. ჯერ ლაპარაკი
მოსვლიათ, მერე აბაშიძეს, როგორც
ამბობენ, იარაღით შეუტყვია თავის
მოდვესათვის; მაგრამ გლეხები სცე-
მინ იმას ხელში და იარაღი წაურთ-
მევიათ. შემდეგ საყვარელიძეს ამოუ-
ღია ხანჯალი, ერთი ცხვირზედ დაუ-
კრავს, მეორე კისერზე და მესამეც
მხარზე. ცხვირის ჭრილობა საშინე-
ლია: შუა ცხვირზე აქვს დაჭრილი,
ზედა ტუჩი და ნიკაპი სულ ჩამოთ-
ლილი აქვს და ჰკილია, ასე რომ
კაცს დანახვა შეეზარება.

„დაჭრილი ჯერ არ მომკვდარა;
მაგრამ, ამბობენ, ძნელად თუ მო-
ჩებაო.

„შორაპნის მომრიგებელ სასამარ-
თლოს გამომძიებელი წავიდა სოფ.
ძვალისთს ამ საქმის გამოსადიებლად
და იმავ სალამოს ჩამოიყვანა დამნაშა-
ვე საყვარელიძე და იმის მხლებელი
გლეხები; ყველა ესენი ამ ქაჲდ აღ-
გილობრივ სატუსალოში არიან და-
ჭერილნი.“

„ძაკვანის ძურვირის“ გორელი
კორრესპონდენტი იწერება, რომ
საუკეთესო უბანი ჩვენის ქალაქისა,

რომ ტოგილა არავის არ შეარჩენდა
თავის შვილის დამცირებას.

მზიდა ხშირათ დადიოდა თავის
საცოლოს სახლში და აპირებდა კი-
დეც მალე მის მოტაცებას, მაგრამ
ბევრი სხვა და სხვა შინაური გარე-
მოება უშლიდა ამ განზრახვის აღსრუ-
ლებაში მოყვანას. ბოლოს გარდას-
წყვიტა თავის წადილის აღსრულება
და ამ-სათვის ჩხუბის შემდეგ გამოსწია
თავის საცოლოს მამასთან ალთი-
მირასთან.

მესამე დღეს მზიდა დაუნიშნა
ალაგი სუს სოფლის ბოლოს თავი-
ანთ საქმეზედ მოსალაპარაკებლათ. ის
იყო ერთი პატარა მინდორი, ვარს-
შემორტყმული მშვენიერის ტყით;
ეს ტყე, როგორც ყოველი ტყე ძაე-
კასისა, საესე იყო ნადირით.

ძისტეთში განსაცვიფრებელი მსრო-
ლელები არიან თოფის. მაგრამ ყვე-
ლაზედ განთქმული მსროლელი იყო
მზიდა; იმას სოფელში თითქმის არა-
ვინ სჯობდა. ის იყო ძლიერ მარ-
დი და ყოჩაღი. ბევრი ყმარწილი
ქალისათვის დაუკოდნია მას გული;

საცა უფრო კარგი სახლებია და უფ-
რო მდიდარი ხალხიც ცხოვრებს,
უფრო ნაკლებ გადასახადს (დასაფასე-
ბელ ხარჯს) იხდის ქალაქის ხაზინის
სასარგებლოდ, ვინემ მეორე უფრო
ღარიბი უბნის სახლის პატრონებიაო.
ამის გამო ამ რამდენიმე წლის წი-
ნათ კამისია იყო დანიშნული, რომ-
მელსაც ხელ-აზლად დაფასება მიან-
დეს ქალაქის მდიდარ უბნის (პოსე-
ლენის) სახლებსაო. მაგრამ ამ კა-
მისიას არც კი უფიქრნია ჯერ თავის
მინდობილობის სისრულეში მოყვა-
ნაო და ამის გამო ქალაქს დიდი ზა-
რალი მიეცა და დღესაც ეძლევაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ჯავახეთი, 17 იანვარს. ამ იან-
ვრის დამდეგამდე ისეთი თბილი დღე-
ები იყო ჩვენში, რომ ორიოდჯერ
წვიმაც კი მოვიდა. მერე იმის იმე-
დით, რომ, რაკი ჯვარი წყალში ჩა-
სვენდება, ყინვა ფებს ვეღარ მოიკი-
დებსო, ბედნიერებათ ვრაცხდით ჩვენ
თავს. მაგრამ მოესტყუვდით. ჯავა-
ხეთის ზამთარს თურმე ვერც ჯვარი
აშინებს და ვერც ხატი. აგერ ეს
მეორე კვირაა თექვსმეტი გრადუსი
ყინვაა და ისეთი ღვთისრისხვა ნამ-
ქერს ურევს და ღრიალით ჰყრის
ფანჯრებში რომ, ცხვირს გარეთ ვერ
გამოჰყოფ. ახალქალაქის ქუჩაში ვი-
საცკი დინახამ „ამან ასტეცაო“ იძა-
ხის და ისეთის გუგუნით გარბის, თი-
ტყო ბუზანკალი შესჯდომია, ან ნი-
შადური ამოუცხიათო.

აბა ახალქალაქის ღარიბმა ხალხმა
რა ქმნას: პურიც სასყიდელი აქვს,
წყალიც, შეშაც, წივაც და სხვა ყო-
ველივე ცხოვრების პირველ საჭიროე-
ბანი. დღეს ერთ საწყალ კაცს იქამ-
დე გასჭირებოდა, რომ ბავშვი აყნი-
დვან ამოეღო, ძონძებში გაეხვია და

მაგრამ თვითონ კი არ ყოფილა და-
კოდილი იქამდინ, მინამ სუს შავმა
თვალეებმა არ მოუღეს ცეცხლი.

ამ გარემოებამ გაუჩინა მას ბევრი
მტერი და ამ მტრებში არავინ არ
იყო ისე საშიშარი როგორც ჰამბუ-
ლატი, რომლის სიემშაკე და ცუდ-
კაცობა აწუხებდა მთელს მასტის სო-
ფელს. ჰამბულატი ქვეშ-ქვეშა, ჩუმა,
მშიშარა და საძაგელ სახის კაცი იყო.
სოფელში თითქმის ის არავის უყვარ-
და. რაც ხვირანი ბიჭები იყვნენ,
ერიდებოდნენ. ამხანაგობა იმას არაფ-
რათ არა სწამდა და მათი ჩეულობა,
რომელიც მდგომიარებს იმაში, რომ
კაცმა არ უნდა გასცეს არც კაცის
მკვლელი, არც ქურდი, მიაჩნდა სი-
სულელეთ და არა პატიოსნობათ. ის
უძახოდა პატიოსან მოქმედებას მას,
რაც მოუტანდა ადამიანს რაიმე სარ-
გებლობას; იყო საძაგელი ენისა
ენისა რომლისგამოც ბევრნი იყვნენ
დაღუბულნი. ამის გამო მზიდა სა-
შინლათ ერიდებოდა არავისი ისე არ
ეშინოდა, როგორც ჰამბულატისა,
რომელზედაც ამბობდა ხოლმე:

აკვანი ცეცხლზედ დაუყრია თავის
წერილ შვილის დასახლობაში.

მა დალოცვილი ჩვენი სამზობლო
სხვათა შორის მითია შესანიშნავი,
რომ თუმცა ასე ზაწაწაა, მაგრამ რამ-
დენ მაზრასაც გაივლი, იმდენი სხვა
ბუნება, სხვა ჰაერი, სხვა ხალხი და
ხასიათი წარმოგიდგება. შარშანწინ,
ინერის 10-ში, კახეთიდან მოვდიო-
დი და გზის ორთავ მხარეს, ევენახე-
ში, მოტიტვლებულ ვაზებს შორის,
მშვენიერათ ჰყვოდნენ ატმის, ტყემ-
ლის და ნუშის ხეები და იმასთანა
მშვენიერი დღე იდგა, რომ ჯავახეთ-
ში მაისშიაც არ მინახამს.

მართლში ზამთარ-ზაფხულ ახირე-
ბული და თითქმის განუწყვეტელი
ქარი იცის და ზამთარიც უფრო ცი-
ვი, ვიდრე კახეთში. ამის გამო მე-
ლიებსავით სოროებში ცხოვრობენ;
მეზობელთან მისვლა რომ გინდოდეს,
უნდა ბანზე ახვიდე და ბუხრიდგან
მოელაპარაკო რაც საქმე გაქვს. ძა-
ხეთშიკი არც კი იციან ბანი რას ქვი-
ან.

ახლა მივიღეთ მხედველობაში, რომ
ქართლი და კახეთი მდიდარია ტყით
და ყველა გლეხკაცს შეუძლიან, თუ-
კი ცოტათი მაინც ხელს გაანძრევს,
შეშა თავივე საყრელათ იქონიოს. მა-
გრამ ვიცი ბევრი იმისთანა ოჯახის
შვილიც, რომ სიზარმაცის გამო,
მთელ ზამთარს ეზოს და ევენახის ღო-
ბებს და ვაზის ჭიგოებს სწვამს და მე-
რე გამოზაფხულდება თუ არა, ეს
საგნები ხელ მეორეთ თავშისაცემათ
უხდება.

მთელი ჯავახეთის მხარე კი ისეთი
მოტიტვლებულია, რომ ერთს ჯაგსაც
ვერსად შეხედებით და შეშა თითქმის
გირვანქობით ისყიდება. მს სასტიკი
ზამთარიც შენ და უშეშობაც შენაო!
აქაურ ხალხს ის იხსნის, რომ სასტიკ
ზამთარს და განუწყვეტლად ოსმალე-
ბთან ომს უსწავლებია ისეთი ქვის

— თუ მომკლეს ოდესმე, მიზენი
ჩემის სიკვდილისა იქნება ჰამბულატი.

მართლდა ჰამბულატი საშიში კა-
ცი იყო: არავის დაინდობდა და თუ
შეეძლო, მამა-შვილსაც გადაჰკიდებდა.
იმას აბრალებდნენ მზიდასა და ტო-
გილას გადაკიდებას; ის აცეცხლებდა
ორივეს; ხან ერთზედ მოიგონებდა
რაიმე ჭორს, ხან მეორეზედ.

ჰამბულატსაც ძრიელ ეშინოდა
მზიდასი და ცდილობდა ხოლმე,
რომ ჩუმათ ემტრო. მიზენი მტრობი-
სა იყო ლამაზი სუ, რომლისაგანაც
ჰამბულატის გული იყო დაჩაგრული.
თავის გულის დაჩაგრვას ჰამბულატი
არ შეარჩენდა მზიდას, თუ მას არ
შინებოდა ტოგილასი, რომელიც
შვილის მკვლელს, რასაკვირველია,
გადაუხდიდა, „სისხლს აიღებდა“, —
ჩეულებსამებრ.

მ. ჯორჯაძე.
(გაგრძელება იქნება)

საქართველო

მართალია თუ არა? რაჟის მასწავლებელი
ერთი მესტრის ქსენოფონის, გვარად ი., რომელიც, სიტყვის მებრ სსსსსსსსსს, არცაა სიტყვის, არცაა მისი, ვითარცა ჩიტი, მაგრამ მისი სიტყვიერი კი აძლევს მას. მის ენაში, მის ბარბარულს, თუმცა ოთხ-ფეხი კი არაადა სსსსსს, მაგრამ, როდესაც უნდა ეწვიოთ, კარგი ცხელ-ცხელი სათბილოები, მსუქან მსუქანი ბუკები და შუშუნა მწვანეები ყოველთვის მოგეტყობათ.

იმ დროს, როდესაც ამ თავადს ბედი უხვად აძლევს, სოფლებს კი შავ დღეს აყენებს: ზოგს ძროხა ეკარგება, ზოგს ცხვარი, ზოგს ფრინველი და სხვ. და სხვ. მაგრამ, როგორც იმ თავადის შემდეგ ვერ გაუგიათ, ვერც გლეხების ქურდი მიუგნიათ.

ამ ყოფაში გაზრდიან არა თუ დღეები და თვეები, თითქმის წელსადებიც.

ერთ დღეს მთხრობელი წაიყვანს გამომძიებელს იმ ი-ის სახლში, შებრძანდება შირ-და-შირ მის საწოლ ოთახში და ნასვს, რომ ერთი ხალისა-მოთქვნილ იატაკზედ სდგას საწყველი და შედ სწევს ერთი მსუთ-უნსავი, ვითომ სხუელად დაგდებული. მთხრობელის განკარგულებით და გამოძიებელის ბრძანებით გადმოდგენს საწყველს განსვდა, იღებენ ხალისას, აყრან ხალისას ქვეშ ფიცრებს და, ჰოი, საკვირველებზე, რას ნასვს? ფიცრებს ქვეშ გამოხსნება ერთი დიდი აჯალღამა, რომელსაც არსადამ გარედან კარები არა აქვს, თვინიერ ოთახადამ ჩასსვლელების. ნასვენ, რომ შიგს სხვა და სხვა სასუქები აბა: ძროხები, ცხვრები და სხვა და სხვა გვარი ფრინველები....

გაკვირვებულ გამოძიებელს არა ნაკლებად გაკვირვებული ხალისის პატრონი უმტკიცებს, რომ ეს აჯალღამა არის მამი ჩემის მ. რაჩიო და ეს შირუტყუები ვის ჩაუყვანია—არ ვიციო და შირველათა ვსუდავო; ცხადი არის, რომ ამ მთხრობელს ჩემი მტკრებით მოუხდენია ეს საქმე: თვითონ მოუხდევს და თვითონვე დაუძველავია.

ეს ტყვიანური ადვოკატური მოხსენება სრულიად საგულის-სმით მიუღია გამოძიებელს და ვაი მთხრობელს, ამბობენ.

* *

ფოთში, ერთ ადგილობრივ ფატმან-სათუნს, ორი კაცი ეკვთავდილებოდა, — ერთი იმერელი და ერთი მეგრელი. არჩევანი ერგო მეგრელს. გულ-დაწვეტილი იმერელი ეკითხებოდა მშვენიერს:

— რაში მიწუხებ, რითი მკობია მე ეს მეგრელი? თვალად, ტანად, თუ სხვა რითი იქნა? რა მკვლია?

— არაფერი — მიუგო მშვენიერმა — ყოველისთვისად მშვენიერი ხარ, მაგრამ ცხვირი კი მეგრელს უკეთესი აქვს და მიტომ ვაძლევ უზირატესობას!

გულ-დაწვეტილი იმერელი მიუხრუნდა მეგრელს, მიუღოცა ბუდნიერება და ნიშნად შერიგებისა მოუხდამა ვაღნა. გამხარულელებმა მეგრელმა გადასვა უღვაძებზედ სული, მოიწმინდა ტუჩი და

წყალებით და თქვენი წყალობით, იმანაც წაიკითხა ჩვენი ამბავი გაზეთში, იმედი მაქვს, რომ გვიშველოს რამე...

ბაკურციხელი გლეხი.

რუსეთი

რუსეთის გაზეთები პოლშაზე ერთხმად ამბობენ, რომ იმის საქმეები განცალკევებით უნდა ირჩეოდეს და ნარჩენ რუსეთის საქმეებთანა.

ზაზეთი „ზოლოსი“ ამბობს: ეს განცალკევება უნდა დამყაროს პოლშაში ყველა იმ ადმინისტრაციულ, სასამართლოებით და საზოგადოებით დაწესებებზედ, რომელნიც რუსეთის შინაგან გუბერნიებში კიდევ არიან შემოღებულინი. თუ პოლშა მოკლებული იქნა პომავალშიაც საერთო თვით-მმართველობას და ნათუც ვეკილების სასამართლოს იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, საფიქრალიც არ არის ამ გვარი განცალკევება.

წინააღმდეგნი ამ გვარ დაწესებულებებისა გაიძახიან, რომ ეს შეუძლებელიაო, რადგანაც საერო ხმოსნებს უნდა მიეცეს ნება სამშობლო ენაზედ ლაპარაკისა, ნათუც ვეკილებმა კი სასამართლოში უნდა ილაპარაკონ პოლშურ ენაზედ.

შუწინდეს სინოდში იქნება ამ დღეებში მოლაპარაკება საეკლესიო მათიანგს შედგენის თაობაზედ ყველა საეპარხიოში. ამ მიზნით ყოველ ეკლესიას გარდაეცა ერთი დანომრილი წიგნი, რომელშიაც უნდა ჩაიწეროს შემდეგი ცნობები:

- ა) ეკლესიის დაარსების დრო, რა საშუალებით და, თუ შეიძლება, სახელი იმ პირთა, ვინც უმეტესი შესწირა ამ ეკლესიის დაარსებისათვის.
- ბ) რომელი მღვდელი და რამდენს ხანს მსახურებს ეკლესიაში.
- გ) მრევლის გადიდება.
- დ) ხასიათი მრევლისა, ე. ი. რომელ წოდებას ეკუთვნის უმეტესი ნაწილი მრევლისა.
- ე) სასოფლო სკოლები და
- ვ) შესანიშნავი შემთხვევები და მოვლინებანი.

სახალხო განათლების მინისტრს ბ. საბუროვსა და უუწმ. სინოდის ობერ-პროკურორს ბ. პობედონოს-ცვეს შორის ამ დღეებში მომხდარა თანხმობა შესახებ სასულიერო სემინარიის სწავლა-დასრულებულების მიღებისა უნივერსიტეტში აღრინდელ პირობებით, რომლებიც 1878 წლამდე იყო რუსეთში დადგენილი. ამ პირობებით ყველა სას. სემინარიაში სწავლა-დამსრულებელნი პირველი განყოფილებით მიიღებენ უნივერსიტეტში მხოლოდ მარტო ზეპირი ეგზამენებით.

რომ თავისას გაიყენს და თუ არ მიეცემთ, ღმერთმა ჩემ მტერს დააყენოს ის დღე, რა დღესაც ჩვენ დაგვაყენებს ხოლმე: ბევრა იქნება, თუ იასაული მოვა, იმწამსვე, თავზე მოგვახვევს. ამ გვართა აქტებს ღვინოებს და ჩვენი ოფლით ესამიღიდება და ჩვენი ცოლშვილი კი მშვიერი გვეხრცება. ეს კიდევ არიფერი; როგორც იყო უთმინეთ და მოუთმინეთ კიდევ, რომ სხვანაირათ არ გვაწუხებდეს: ძალიან გარყენილი კაცია; ყოველ დღე ითვრება და ღამე ხან ვის შეუფარდება სახლში და ხან ვის. ჩვენ ცოლ-შვილს მოსვენება არა აქვს.

ამ ცოტა ხანში ერთი ჩემი მეზობელი ახალ-გაზდა ბიჭი სამუშაოთ წასულიყო, სახლში მარტო დარჩომილიყენენ იმისი დედა და ახალ-გაზდა ცოლი. ჩვენ მამასახლისს კარგად გადაეკრა ღვინო და მივარდნოდა დედაკაცებს სახლში. დედამთილს დაეძახნა, ვინა ხარ ამ დროს რა დროს სიარულიაო. მამასახლისს სახლში მიეწიენა და რძალზე რაღაცები ეთქვა. რასაკვირველია, დედამთილს სწყენოდა და გაელანძღვა. ბაჯაერებულს მამასახლისს კარები შეეძტურია და საწყალი დედა-კაცისათვის თავი გაეტყენა. მერმე ყვირილზე წასულიყო.

მეორე დღეს სახლის პატრონი მოვიდა მუშაობიდან, შეიტყო თავის სახლობის გაუპატიურება ჩვენი მამასახლისისაგან, მოუვიდა ამაზე ჯაგრი და სასოფლოზე სცემა ამ ბიჭმა მამასახლისს.

შხლა ისე გამოდის საქმე, რომ მამასახლისს უჩივლია ამ საცოდავ ბიჭზე და ყველანი აშინებენ, რომ გადაგახდევინებნო. ეს ბიჭი ამბობს, რომ ალაღ-მართალ კაცს არც ღმერთი და არც კაცი არ დაკარგავსო; თუ ჩემზედაც ესე ასრულდა, ხომ კარგია, თუ არა და მადლობა ღმერთსაო; მე ერთი კაცი ჩემ თავს შევიწირამ ჩემი სახლობის პატიოსნებასაო.

რასაკვირველია, მკითხვეთ, ყველა ამისთანა საქმეებს რომ შერება, თქვენი არაფერ არის, რომ იჩივლოთო. აი, ბატონო, რა მიზეზით ვერა ვჩივით: ეს ჩვენი მამასახლისი მდიდარი და ძალიან ემმაკი კაცია იმისთანა პირებს მიზღვეს და ეფერება, რომლებსაც ამისი დახსნა შეუძლიანთ და ამასთანავე ხშირათ აკეთებს სადილებს და ჩინოვნიკები ეწვეიან ხოლმე და ისე ჰგონიათ ყველას, როგორც სადილების კეთებაშია ყოჩალი, ესე თავის მოვალეობაში. ჩვენ იმისი გვეშინია, რომ უჩივლოთ, საჩივარი უყურადღებო დააგდონ, რომ შემრე ავიკლოს!..

შხლა მამასახლისების გამოცვლის დრო მოვიდა; ყველას გვინდა გამოცვალოთ; თუ კიდევ არ იოსტატა.

ამ მოკლე ხანში ჩვენი ნაჩლინიკის ახალი პომოშნიკი მოვიდა. ძალიან აქებენ, კარგი კაცი თურმეა. რაკი ყველანი ესე აქებენ, თუ ღვთის მო-

სახლების შენება, რომ ვერც მტერი და ვერც სიცივე შეგნით-მიგან ვერ შეატანს. ამასთანავე ამათში „უხარო“ კაცს თითქმის ძნელად ნახამთ და შეძლების და გვარად ბლომად აშენენ შინაურ პირუტყვს. მსევე პირუტყვი აძლევს სათბობსაც: პირუტყვის ნეხვისაგან ესენი ზაფხულობით ამზადებენ წიგას, რომელიც მართლში და ძანეთში არც კი იციან, საქმელიათუ სასმელი.

წივას ყოველ საქმეობაში შეშის ნაცვლად ხმარობენ და მეტადრე ცხერის წივა თითქმის შეშას არ ჩამოაურჩება. ბავილი ომის შემდეგ ამ წივასაც კი ფასი დაედო.—აი აგური ორ მანეთად სოფელშივე ისყიდება...

წრეულს კიდევ როგორც იყო ღმერთმა წყალობის თვლით გადმოხედა აქაურობას, კარგმა მოსავალმა ღარიბი ხალხი წელში გამართა, თორემ შარშან ამ დროს რა ვაგბა იყო ღმერთმა მტერიც დაისხნას.

ამ თვეში ახალქალაქში აი რა მახანდა არის: ხორბალი—ფუთი 1 მ. და 80 კ., ფქვილი—ფუთი 1 მ. 40 კ.—1 მ. 60 კ., ქერი ფუთი 1 მ. გამომცხვარი პური—გირვ. 4 1/2 კაბ., ძროხისა ხორცი გირვანქა 9 კაბ., ცხერის ხორცი 9 კ., ქათამი 40—60 კ., კვერცხი წყვილი 5 კ. ერბო გირვანქა 45—50 კ...


ახალ წლიდგან აქ კლუბი გაიხსნა და სამოცამდე წევრი შეგროვდა. წევრის შესატანი ფული წელიწადში ორი თუმანია.

ჯავახი.

ს. მ. შ. ბაქურ-სინი, 21 ანკვარს.

ჩვენს სოფელში აგერ ექვსი წელიწადია, რაც ერთი სახემწიფო გლეხი კაცი მამასახლისად არის. ეს მამასახლისი აღრე აღებ-მიცემობდა; თითო თუმანს აძლევდა თვეში ოთხ აბაზათ ან წელიწადში ხუთ ჩაფ ღვინოთ. ამეებით გაკარცვა ხალხი და შეძლება შეიძინა. ახლა მამასახლისად დააყენეს. მიჰყო, ბატონო, სოფელს ხელი და ტყავს აძრობს.

რაც მამასახლისობა გაჩნდა, სულ ერთი გზირი გვეყენდა სოფელში, ცხლა კი ამ ექვს წელიწადში ორი გზირი დააყენა სოფლის ხარჯზე, ერთი სასოფლო საქმეს აკეთებს და მეორე ჩვენი მამასახლისის მეჯინბეა. მამასახლისობა რომ გახლდათ, ჩვენი სოფლიდან გაგზავნეს სამი ბიჭი; მოიგონა ჩვენმა მამასახლისმა, რომ ტანისამოსი მე შეუტერეო და ათი თუმანი აიღო სოფელზე თავისათვის, როცა სამი ხანჯალი გაუკეთებინა, თითო ეღირებოდა მანეთ ნახევარი. შამოდგომაზე, როცა ყურძენი მოიწევა ხოლმე, ღარიბი გლეხები, რომელთაც ძალიან გვიჭირს, ყურძნათ ვყიდით ვენახებს; რაკი გაიგებს ჩვენი მამასახლისი, მოვა და შეგვევაჭრება. ჩვენც, რასაკვირველია, დაუფასებთ ღირეულათ. მამასახლისი შამოგავძღვეს ნასამედ ფასს, რადგანაც იცის,



მიიწია საკონკრეტოდ; მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, იმას „ზომი“ მოუვიდა; მთავლა იმერელმა ცხვირზედ კბილუბი და სანამ არ მოჭკვნიტა, აღარ მოშორდა...

ამის შემდეგ, თქვენი მტერია, თუ ამ გვარები გახშირდა ხეივნი, ვისაც კონსა მოუხდება, ცხვირი უკან უნდა წაიღოს, განსაკუთრებით დიდი ცხვირის ზატრონებში. (არ გგონოხთ, რომ სომხებზედ ვლანდარეობდა?)

ქ. ქ — ში ერთ სამხედროსა და სამოქალაქო წოდების კაცს მოუვიდათ ხსუბი; გამოიხმეს ერთმანეთი დუელში, დაუნიშნეს მანძილი 7 ნაბიჯი და მიუღირეს ერთმანეთს დამხანა სასიკვდილოდ.

შირველი სროლა ერგო სამხედროს, რომელმაც ნიშანში ამოიღო ის, რაც უფრო მკარგისა ქონდა მის მოწინააღმდეგეს; ფეხები უნდოდა მიეტყროს მისთვის, მაგრამ ტყვიამ იუკადრისა, აიღო მალა თავი და თუ მიმწვდარიყო და შორს არ დაჩქინდა მესეს გაგვიხრებდა...

ამ გვარად გადაჩნა სასიკვდილოდ მომხადებული სამოქალაქო წოდების რინდი.

რიგი მოვიდა მეორეზედ. დაუნიშნეს შუბლში ტყვია; მაგრამ აქც სინცხვილით დასანა დამხანა თავი და, შუბლის მაგივრად, მარჯვენა ხელი გაუხრებდა...

ამ საქმემ მიიწია სამსჯავრომდინ და მსაჯულმა სამხედრო წოდებისას გადუწვიტა დასჯა ისე, როგორც სამოქალაქო წოდებისას: სანი თვით ჩასვა სატუსაღში; და სამოქალაქო წოდებს კი — არი კვირით სამხედრო ნაობასტში.

თუმა ბუერს უკვირს ეს ამბავი, მაგრამ სხანს, რომ მსაჯულმა სინდისით გადაწვიტა, რადგან სამოქალაქო წოდების კაცში სამხედრო მხარეები დაინახა და სამხედროს მოქმედებაში კი სამოქალაქო.

საკვდენიაში კურს გათავებულმა ქალმა მოინდომა მეურნეობა და წავიდა სოფელში. სსკათა შორის უნდოდა, რომ პირუტყვები მოეშენებინა და ერთ სოფელ ნათესავს მიჰსწერა ქართულად შემდეგი თხზვის წერილი;

„ჩემო საკვრელო ტაოტინკა! შენი ჩირიძე, ერთი დედალ-მამალი ქვერული გამომიგზავნი, რომ ზატარა ქვერულები მოგაშეხარა.“

დეიდა-მისმა წაიკითხა ბანათი და ეს მოსწერა, ზასუსად:

„საყვარელო დისწულა! სცა ამისთანა ქართული და თანაც ამისთანა მეოჯახობა გისწავლია, დედალ-მამალი უკვერულიც იქ მოიკითხე!“

იაგ. კასუოლის და კავკ. სავაზრო სახლის უმთავრესი კანტორა.

ამ ფარმის ზედამხედველ კომიტეტმა, თავის სხდომებში 21—24 იანვრის რიცხვებს ამა წლისა, დამტკიცა წასრული 1880 წლის მოგების განაწილება 4 ქრისტეშობისთვის 1879 წ. 1 იანვრამდინ 1881 წლის დროისა, რომლის ძალითაც გარდაწვეტილია მიეცეს დივიდენდი პაიშიკებს:

1 ხარისხის პაიშიკებს პრემიით 18 $\frac{1}{2}$ % ას მანეთზედ.

2 „ „ უპრემიით 16 $\frac{1}{10}$ %
 აქობებს რა ამითა პაიშიკებს, უმთავრესი ძანტორა აცხადებს, რომ ზემოხსენებულის დივიდენდის მიღება შეიძლება ამა წლის 15 თებერვლიდან, რომელ დროისათვის იქმნება დამხადებული ანგარიში ყველა პაიშიკებისათვის ცალკე. დივიდენდის მიღების დროს ბ.ბ. პაიშიკებს ესთხოვთ წარმოადგინონ ნამდვილი პაიშიკობის მოწმობა. (2—1)

სალიანი ჩვენია

და მხოლოდ ჩვენს მალასიაში უოკვლავის მოდის ნამდვილი სალიანის შამაიები. **გავთხილდით!** სალიანის შამაიების მაგივრად სხვა წყლების შამაიები არ მოგიდონ, რომელიც გაირსყვას ნამდვილი სალიანის შამაისაგან როგორც ფერით, ისე გემით.

ისუიდება წვრილად და ზარტობით: შამაია იაფად, ორბუღლი, ზუთისა ახალი და სქელი. წელა, სიხილად და სსკა.

მალასია იმყოფება თამამოქვის ქარვასლის ქვეშ, გენერალი ტერ-სასტურის სახლების ქვეშ, რომელსაც აგრავს ვიკესკა „ამ ისუილება სალიანის თეზაულის“. (3—1)

მომავალ თებერვლის ცამეტს, დილით, მიროტინის ვალში დავნიშნულია **სურამის სუღვი ბასილივა** გმჭედლოვის ობლების სახლისა, რომელშიაც სული იმყოფება, ხუთ ოთახიანი, კუხნით, ეზოთი და ცარიელის მიწით. სახლის გვერდითვე 6 დღის მიწა-ტყით. სულ დაფასებულია 1800 ხმან. (3—2)

ქუთაისის

ბრანსაორტნი კანტორა ძმათა მუთუნოვებისა, მართველი ივანე პასიკოვი, სთხოვს საზოგადოთ ქუთაისის ლუბერნის მოვაჭრებსა და ვგრეთვე მქონებელსა

ბაგვისა

ვისაც აქვს გასასყიდი, მობძანდენ კანტორაში, ბულოვარის პირ-და-პირ ივანე ზედგინდის სახლში საქალაქო ბანკის ქვეშ, სადაც გაურიგდებიან ფასს ანუ პირ-და-პირ მოიტანენ და მაზანდაზედ მიიღებს კანტორა, ნაღდფულზედ. (5—5)

ინგლისის მალასია

Maison de confiance

გადართ ხეივი ხაი — 1 მ. 10 კ. მალასიის ხაის — 1 მ. 40 კ.
 — — — 1 — 20 — — 1 — 60
 — — — 1 — 40 — — 1 — 80
 — — — 1 — 60 — — 2 — „
 — — — 1 — 80 — — 2 — 50

საუკეთესო — 2 — „ — — 3 — „
 იქვე ისუიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდენი, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგენზია, უნაგირები, კლიონკა, წინდები — კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მალასიაში, მინც ქალაქს ვარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—84)

ბანკირის კანტორა

ალ. ფრიდონოვისა და ი. შახნასაროვისა

ჰყილულობს და ჰყიდის ყოველგვარ სარგებელსა (1/10) ქალაღებს.

აძლევს ამ ქალაღების გინათ სსკეპზე მომეტებულ სესხს 7 $\frac{1}{2}$ % სარგებლით წელიწადში,

მიიღებს შესასხავათ ფულს, შინაგან ხესის მოკების ბილეთებს იღებს სტრახში და სსკ.

ძანტორა იმყოფება: სერგეის ქუჩაზე, სასკლდეში ბანკის განყოფილების პირ-და-პირ, ალ. ფრიდონოვის სახლში, № 7. (3—2)

ამ წლის 7-ს იანვარს ბუნების მადანზე, ზოდჭრუას ცირკის გვერდით გაეხსენი

ზალა გინანსტიკის ვარჯიშობისა, სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გინანსტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათამდინ.

დაწერილებით პირობების შეტყობა მურველს შეუძლიან აქვე ზალის კანტორაში, რომელიც შუა დღიდან 2 საათამდინ გაღებულია.

აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფხეტოვანას. (6—4)

პატენტისანი უჩოტაპი

თმებისაოვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; სარძევე 30 კანბ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გვადრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ეუთი და სსკ. ინგლისის მალასიაში. (100—84)

ლონდონის მალასია კომპრომიზი ბანკის ქვეშ დაარსებულია სადაც ყველაფერს გასასყიდლოთ ზარგველი მოკვირებისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მალასია; თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა. კანფეტებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სპონისა, შოკ კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალაღისა, კანანდაშებისა, კადმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი გლეშკვინი ზეთისა) და სსკ. საავსტო მალასიის მოსახურავებს გასასყიდლოდ განფეტებისა და ზატყურისა და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხელქებისა და წინდებისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ჭავასას სიგარები. (100—13)

ლონდონის მალასია

პრენის მოედანზე № 2, კომპროციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდლოდ და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდონი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ტიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოკოტი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სსკ... (100—23)

ისუიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები** **ბადასადნობად** — წმ. ბიორგის ეკლესიისთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—8)

მიუხედავით იმისა, რომ ზაყა მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინიზი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი ვისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძბიელ ვარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მალასიაში**. საავსტო ბანკის უნაგრების გასასყიდლოთ, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ჭრის, რომელთაც დაიმსახურეს ზაროვის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვარგები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომით ინგლისის მალასიაში. ძბიელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კანფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—13

МОЛДОЙ
 человекъ желаетъ имѣть мѣсто гувернера или репетитора при дѣтяхъ. Адресъ письменно: въ редакцію газ. „Дроуба“ на имя А. Г. или лично отъ 11—2 ч. (3—1)

ბანსხალბანი ყააწვილ
 კაცს ქსურს იშოვოს გუვერნიარის ანუ მასწავლებლის ადგილი. ადრესი წერილით: „დროების“ რედაქციაში ა. დ. სახელზედ, ანუ ზინად 11-2 საათამდინ. (3—1)